

თეა ბურჯულაძე, გვანცა გვანცელაძე  
თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
უფროსი მეცნიერ-თანამშრომლები  
თბილისი, საქართველო

## ზოგი სახის სტილური შეუსაბამობა ნათარგმნ ტექსტებში

**თეზისები:** თარგმნისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სტილური პრობლემებია. სტილისტიკა ენობრივ შემოქმედებასთან დაკავშირებულ პრობლემათა ფართო სპექტრს მოიცავს – სიტყვათა თანამიმდევრობით დაწყებული, სპეციალური გამომსახველობითი საშუალებებით დამთავრებული. ტექსტის სრულქმნისა და დახვეწის საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული ენისათვის ბუნებრივ სიტყვათშეხამებასა თუ სტილისტურად და აბრობრივად სწორად შერჩეულ ფორმებს. ამასთანავე, თარგმანი ეყყარება ენის შემოქმედებით ბუნებას, გასათვალისწინებელია ენობრივი კულტურა, მშობლიური სიტყვათშეხამებანი, მათი მართებულად გამოყენება, მყარი გამოთქმების სპეციფიკა და განსხვავებულ ენობრივ კულტურაში მათი გააბრების საკითხი. სიტყვას სალიტერატურო ენაში ამ ენის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე სრულიად გარკვეული მნიშვნელობა აქვს. არ შეიძლება, რომელიმე სიტყვა ნებისმიერ სხვა სიტყვას დაგუვავშიროთ. ყოველ სიტყვას ამავე დროს აქვს თავისი მყარი ადგილი ტრადიციულ სიტყვათშეხამებაში. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, ისინი ენისათვის ბუნებრივი ფორმებით იყოს შედგენილი.

ყურადღებას გავამახვილებთ ნათარგმნ ნაწარმოებებში ზოგი სახის სტილურ შეუსაბამობაზე. მაგალითად, „ყინულივით ცივად მიუგო ჟანომ“. ქართულისათვის ბუნებრივია გამოთქმა ყინულივით ცივი ხმით უთხრა, ან ცივად მიუგო. ენისათვის ხელოვნური და უმართებულია ყინულივით ცივად უთხრა. ან კიდევ: „ამას თავს ვერ დავაღწევ, ბუნების ირონიაა.“ ქართულისათვის ბუნებრივი სიტყვათშეხამებაა ბედის ირონია და არა ბუნების ირონია. „ეს უფრო მაღალი დონის განსაცდელისაგან დამიცავს“ – ზედსართავი სახელი მაღალი

## თეა ბურჯულაძე & გვანცა გვანცელაძე

გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობითაც – ისეთი განყენებული სახელების მსაზღვრელად, როგორებიცაა შეგნება, იდეალი, დონე, ხარისხი (რომელთა აწევა, მომატება, ამაღლება შესაძლებელია), მაგრამ ამავდროულად უმართებულოდ ჩნდება ისეთ შემთხვევებშიც, როცა მოქარბებული ექსპრესიისათვის, სახელის მეტისმეტი სილიდის, სიუხვის საჩვენებლად იყენებენ, რაც არაბურებრივია ქართულისათვის. სწორედ ასე ჩანს მიღებული არასწორი შესიტყვება მაღალი დონის განსაცდელი (მართებულია – დიდი განსაცდელი). „ეს ყველაფერი უკეთ ხერხდება სრულიად უაზრო კითხვის მიცემით, თორემ ერთი საათი კიდევ ილაქლაქებდით“ – სიტყვათშეხამებაა კითხვის დასმა და არა კითხვის მიცემა... ცხადია, თარგმანისას ამგვარი სტილური შეუსაბამობანი ენას გამომსახველობით ბუნებრიობას უკარგავს.

**საკვანძო სიტყვები:** სტილისტიკა, სალიტერატურო ენა, სიტყვათშეხამება

**Abstract:** Stylistic problems are very important in translation. Stylistics encompasses a wide range of issues related to linguistics creativity – the word order, specific stylistic devices, etc. Phrases that are natural for the Georgian language or forms that are stylistically and contextually appropriate are very important parts in refining texts. In addition, translation is based on the creative nature of a language considering linguistic culture, native phrases and using them properly, specificity of fixed expressions and understanding them in different linguistic cultures.

In the literary language a word has a certain meaning at a certain stage of the development of a language. You cannot link any word to any other word. Each word has its place in a traditional syntagm. That is why it is important to present them in a natural way in translation.

We focus on some stylistic irrelevances in translated works. For example, „ყინულივით ცივად მიუგო ჟანომ“. The expression ყინულივით ცივი ხმით უთხრა or ცივად მიუგო are natural for the Georgian language while ყინულივით ცივად უთხრა is inappropriate and artificial. „ამას თავს ვერ დავაღწევ, ბუნების ირონიაა“ – in Georgian the syntagm ბედის ირონია is natural. „ეს უფრო მაღალი დონის განსაცდელისაგან დამიცავს“ – the adjective მაღალი “tall/high” is also used in a figurative sense

## Problèmes traductologiques: analyse et solutions

where it modifies abstract nouns such as შეგნება “consciousness”, იდეალი “ideal”, დონე “level”, ხარისხი “quality” (that can be increased) but it appears inappropriate in the cases where it is used to express excessive bulkiness, fullness that is unnatural for Georgian. The reason of coining the incorrect syntagm მაღალი დონის განსაცდელი seems to be the same (the correct form – დიდი განსაცდელისაგან). „ეს ყველაფერი უკეთ ხერხდება სრულიად უაზრო კითხვის მიცემით, თორემ ერთი საათი კიდევ ილაქლაქებდით“ – the correct form is კითხვის დასმა and not კითხვის მიცემა. Obviously, such stylistic irrelevances in translation make the language lose its expressive nature.

**Keywords:** Stylistics, literary language, word matching

სტილისტიკა ენობრივ შემოქმედებასთან დაკავშირებულ პრობლემათა ფართო სპექტრს მოიცავს – სიტყვათა თანამიმდევრობით დაწყებული, სპეციალური გამომსახველობითი საშუალებებით დამთავრებული. ტექსტის სრულებრივი და დახვეწის საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული ენისათვის ბუნებრივ სიტყვათშეხამებასა თუ სტილისტიკურად და აზრობრივად შერჩეულ ფორმებს. თარგმნისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ სტილური პრობლემებია. ამასთანავე, თარგმანი ემყარება ენის შემოქმედებით ბუნებას, გასათვალისწინებელია ენობრივი კულტურა, მშობლიური სიტყვათშეხამებანი, მათი მართებულად გამოყენება, მყარი გამოთქმების სპეციფიკა და განსხვავებულ ენიბრივ კულტურაში მათი გააზრების საკითხი. ცხადია, მთარგმნელმა სრულყოფილად უნდა იცოდეს არა მხოლოდ უცხო ენა, რომლიდანაც ის თარგმნის, არამედ ის ენაც, რომელზეც თარგმნის. მის წინაშე ყოველთვის დგას საკითხი – რა გზა აირჩიოს: ე.წ. თავისუფალი თარგმანი თუ სიტყვასიტყვითი? თითოეული მათგანი კი მოითხოვს განსაკუთრებულ სპეციფიკას, ორივე ენის (უცხო ენისა და მშობლიურის) ღრმა ცოდნას, რასაც უთუოდ უნდა ემატებოდეს ენობრივი ალლო და შემოქმედებითი უნარი. მხოლოდ ამ ჩამოთვლილი შესაძლებლობისა და ჩვევების ერთობლიობა ქმნის სრულყოფილ თარგმანს.

ზოგადად, მრავალი თვალსაზრისი არსებობს თარგმნის ხელოვნების არსისა და შეფასებების შესახებ. მაგალითად, რ. იაკობსონი თარგმანს განიხილავს, როგორც ვერბალური ნიშნებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაციას (О лингвистических аспектах перевода 16). ნელიუბინის მიხედვით, თარგმანი არის „ენათშორისი და კულტურათშორისი კომუნიკაციების ცალმხრივ მიმართული

## თეა ბურჭულაძე & გვანცა გვანცელაძე

და ორფაზიანი პროცესი, რომლის დროსაც პირველადი ტექსტის მთარგმნელობითი ანალიზის საუძველებელი იქმნება მეორადი ტექსტი (მეტატექსტი), რომელიც ცვლის პირველად ტექსტს სხვა ენობრივ და კულტურულ გარემოში“ (Нелиубин, Толковый переводоведческий словарь 140). ან კიდევ, ო. ახმანოვას განმარტებით:

თარგმანი არის ინფორმაციის გადმოცემა სხვა ენის საშუალებებით, სხვა ენაში იმგვარი გამომსახველობითი საშუალებების მოძიება, რომელიც უნდა უზრუნველყოყოფნება არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემას, არამედ დედნისა და ახალი ტექსტის, აგრეთვე მისი ფორმის (როგორც შინაგანის, ასევე გარეგანის) უფრო სრულ შესაბამისობას“. (О принципах и методах лингвостилистического исследования 316)

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაში განმარტავენ, ყოველი თარგმანი არის ორიგინალის მსგავსი და ყოველი ორიგინალი ასრულებს ერთგვარი „ტექსტ – დონორის“ როლს, რომლის მეშვეობითაც წარმოიქმნება ახალი ტექსტი სხვა ენობრივ სივრცეში. ორიგინალი არ შეიძლება მთელი სისრულით გადატანილ იქნას სხვა ენაზე, სრულად იდენტური იგი შეიძლება მხოლოდ ე.წ. საკუთარ თავთან დარჩეს. თარგმანი არის ენაშორისი კომუნიკაციის აქტი. მისი ეფექტურობა დიდწილად განისაზღვრება ორიგინალთან თარგმანის სიახლოების ხარისხით, თუმცა ენობრივი და კულტურული განსხვავებები განაპირობებენ ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების არაიდენტურობას.

თარგმნის თეორიისა და მთარგმნელობითი პროცესის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა არის თარგმნადობის/უთარგმნელობის პრობლემა, რომელსაც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მთარგმნელობითი ტრადიციების გათვალისწინებით მრავალი კვლევა მიეძღვნა, თუმცა ცალსახად ერთმნიშვნელოვანი პასუხი კითხვებზე ჯერაც არ არის გაცემული. უთარგმნელობის თეორიის მიხედვით, ერთი ენიდან მეორეზე სრულფასოვანი თარგმნის შესრულება შეუძლებელია სხვადასხვა ენების გამომსახველობითი საშუალებების განსხვავებულობის გამო. ცნობილი ლინგვისტი ვილჰელმ ფონ ჰემბოლტი უთარგმნელობის იდეას ენების წყობის განსხვავებულობით ხსნიდა და ამტკიცებდა, რომ

სხვადასხვა ენები სულაც არ არის ერთი და იმავე საგნის სხვადასხვა მნიშვნელობა, არამედ მისი განსხვავებული ხედვა; თუ ეს საგანი არ წარმოადგენს გარე სამყაროს ობიექტს, თითოეული მთქმელი თავისებურად ქმნის მას, პოულობს რა მასში ზუსტად იმდენს თავისას, რამდენიც საჭიროა იმისთვის, რომ დაიჭიროს და მიიღოს სხვისი აზრი. (О различии строения человеческих языков и его влиянии на духовное развитие человечества 40)

## Problèmes traductologiques: analyse et solutions

ათწლეულების შემდეგ სხვა ნაშრომებში ჰუმბოლტი გამოთქვამს საწინააღმდეგო აზრს ახლა უკვე თარგმნის შესაძლებლობის შესახებ. იგი აცხადებს, რომ

სრულიად განსხვავებული ენებიდან თარგმნის გამოცდილება და აგრეთვე ყველაზე საიდუმლო რელიგიური გამოცხადებებისთვის ყველაზე პრიმიტიული და განუვითარებელი ენების გამოყენებაც კი გვიჩვენებს, რომ ყოველი იდეა, თუნდაც წარმატების სხვადასხვა ხარისხით, შეიძლება გადმოცემულ იქნას ნებისმიერ ენაზე. (О сравнительном изучении языков применительно к различным эпохам их развития 315)

მიმოიხილავს რა თანამედროვე მხატვრული თარგმანის საკითხებზე არსებულ ქართულ კრიტიკულ ლიტერატურას, დ. ფანჯიკიძე რიგ ტენდენციებს გამოკვეთს:

გამოცვლევათა შორის შედარებით უფრო კვალიფიციურია თარგმანის ენისადმი მიძღვნილი წერილები, სადაც კომენტირებულია თარგმანში შემჩნეული უხეში აზრობრივი და ენობრივი შეცდომები და სათანადო დასკვნაცაა გამოტანილი, რომ ენობრივად გაუმართავი, ანუ ნორმატიული სტილისტიკის დონეზე დაბლა მდგომი თარგმანები არ უნდა იბეჭდებოდეს – მნიშვნელოვანია ქართული ენის ბუნებრიობის შენარჩუნება. (თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა 37)

ამ თვალსაზრისით, არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ციცერონი. ბერძნული მჭევრმეტყველების ნიმუშების თარგმნის საკუთარ გამოცდილებაზე მსჯელობისას ის აღნიშნავდა, რომ მან ისინი თარგმნა არა როგორც მთარგმნელმა, არამედ ორატორმა: „შევინარჩუნე აზრი და მისი წყობა, ასე ვთქვათ, გარეგნული სახე, მაგრამ სიტყვების შერჩევისას ვხელმძღვანელობდი ჩვენი ენის მოთხოვნებით, ამგვარად, არ ვთარგმნიდი სიტყვასიტყვით, მხოლოდ აღვადგენდი მთლიან აზრსა და ცალკეული სიტყვების ძალას.“

ცხადია, თარგმნისას ფორმისა და აზრის შენარჩუნების პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება. ეს საკითხები დღესაც ძალიან აქტუალური და პრობლემურია. სწორედ ამიტომ ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ზოგი უცხოენოვანი მხატვრული ნაწარმოების მშობლიურ (ქართულ) ენაზე თარგმნისას დადასტურებულ სტილურ შეუსაბამობებსა თუ უზუსტობებზე.

როგორც ცნობილია, სიტყვას სალიტერატურო ენაში ამ ენის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე სრულიად გარკვეული მნიშვნელობა აქვს. არ შეიძლება, რომელიმე სიტყვა ნებისმიერ სხვა

## თეა ბურჭულაძე & გვანცა გვანცელაძე

სიტყვას დავუკავშიროთ. ყოველ სიტყვას ამავე დროს აქვს თავისი მყარი ადგილი ტრადიციულ სიტყვათშეხამებაში. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, ისინი ენისათვის ბუნებრივი ფორმებით იყოს შექმნილი. თარგმანებში, სამწუხაროდ, ხშირად გვხვდება ისეთი სიტყვათშეხამებანი, რომლებიც ქართული ენისათვის არაბუნებრივია ან არც არსებობს. როგორც ჩანს, მთარგმნელს ის პირდაპირ გადმოაქვს უცხო ენის გამოთქმიდან ან ზოგადი და მიახლოებული შინაარსით გადმოსცემს გამოთქმის აზრს, თუმცა არასწორად. დარღვევები სხვადასხვა ხასიათისაა. ზოგჯერ გავრცელებულ ფრაზეოლოგიზმსა თუ მყარ გამონათქვამში უმართებულოდ შეცვლილია რომელიმე წევრი, ხან სხვადასხვა გამონათქვამთა კონტამინაცია გვაქვს, ზოგჯერ კი ფრაზის ავტორს თვითონ უცდია ახალი სიტყვათშეხამება შეექმნა, როგორც ჩანს, უფრო ძლიერი ემოციის გამოსაწვევად, მეტი ეფექტის მოსახდენად. წარმოვადგენთ ზოგიერთ მათგანს ნიმუშისათვის, რომლებშიც არაერთი სახის სტილური შეუსაბამობა გვხვდება:

მაგალითად, „ყინულივით ცივად მიუგო ჟანომ“ (ტრიუმფალური თაღი) – ქართულისათვის ბუნებრივია გამოთქმა ყინულივით ცივი ხმით უთხრა, ან ცივად მიუგო. ენისათვის ხელოვნური და უმართებულია ყინულივით ცივად უთხრა. ან კიდევ: „ამას თავს ვერ დავალწევ, ბუნების ირონია“ (ტრიუმფალური თაღი). ქართულისათვის ბუნებრივი სიტყვათშეხამებაა ბედის ირონია და არა ბუნების ირონია. „ეს უფრო მაღალი დონის განსაცდელისაგან დამიცავს“ (სამი მეგობარი). როგორც ცნობილია, ზედსართავი სახელი მაღალი გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობითაც – ისეთი განყენებული სახელების მსაზღვრელად, როგორებიცაა შეგნება, იდეალი, დონე, ხარისხი (რომელთა აწევა, მომატება, ამაღლება შესაძლებელია). ამიტომ დღეს ხშირია მისი მსაზღვრელად გამოყენება ისეთ სიტყვებთან, როგორებიცაა: დელეგაცია, მიღება, წვეულება: მაღალი დონის დელეგაცია ჩამოვიდა, მაღალი დონის მიღება გაიმართა, მაღალი დონის წვეულებაზე მივიდა და სხვ. მაგრამ ამავდროულად უმართებულოდ ჩნდება ისეთ შემთხვევებშიც, როცა მოქარბებული ექსპრესიისათვის, სახელის მეტისმეტი სიდიდის, სიუსვის საჩვენებლად იყენებენ, რაც არაბურებრივია ქართულისათვის. სწორედ ასე ჩანს მიღებული თარგმანში არასწორი შესიტყვება მაღალი დონის განსაცდელი (მართებულია – დიდი განსაცდელი). „ეს ყველაფერი უკეთ ხერხდება სრულიად უაზრო კითხვის მიცემით, თორემ ერთი საათი კიდევ ილაქლაქებდით“ – ამ კონტექტში მართებული სიტყვათშეხამებაა კითხვის დასმა და არა კითხვის მიცემა. ასევეა შეცდომით გამოყენებული შეკითხვის მიცემა შემდეგ წინადადებაში: „...რომ არაფერს მეკითხება. როდის დამიწყებს შეკითხვების მოცემას?“

## Problèmes traductologiques: analyse et solutions

(ნასესხები სიცოცხლე). აქაც მართებული სიტყვათშეხამება იქნება შეკითხვების დასმა. ცხადია, კითხვების მიცემა მართებულია ისეთი შინაარსისას, როცა, მაგალითად, უურნალისატი წინასწარ მისცემს, აძლევს კითხვებს რესპონდენტს, რათა ინტერვიუმდე მოემზადოს და უცხო არ იყოს ის შეკითხვები, რომლებსაც დაუსვამენ. ამგვარი შინაარსი კი დასახელებულ წინადადებებში არ მოიაზრება. „ხანდახან წარსულიდან რაღაც შემომაწვებოდა და მკვდარი თვალებით მომჩერებოდა ხოლმე“ (სამი მეგობარი) – მკვდარი თვალები – ასეთი სიტყვათშეხამება არ იცის ქართულმა და ენისთვის ბუნებრივი არ არის, მის ნაცვლად უნდა გამოყენებულიყო ჩამქრალი თვალები. „კიოსტერი მტკიცედ იყო დარწმუნებული“ (სამი მეგობარი) – ქართულისათვის არაა დამახასიათებელი სიტყვათშეხამება მტკიცედ დარწმუნება, სტილურად უმჯობესია ასეთი გაფორმება: კიოსტერი ლრმად იყო დარწმუნებული. მტკიცე უფრო გამოიყენება სიტყვასთან გადაწყვეტილება: მტკიცე გადაწყვეტილება, მტკიცედ გადავწყვიტე... „ჩვეულებრივი ჩვილი იყო... დიდი-დიდი ის, რომ საშინლად პატარა ხელები ჰქონდა“, „საშინლად მომინდა ამის გაკეთება“ – საშინლად ზმნისართია, რომლის ძირითადი მნიშვნელობა შიშის მომგვრელის გარდა, განსაკუთრებული ემოციური ელფერითაც ხასიათდება. ამ ფორმამ გაიფართოვა მოხმარების სფერო და შეენაცვლა ზმნისართებს: **ძალიან, ძლიერ, მეტისმეტად, უაღრესად, დიდად...** ისეთ სიტყვებთან, რომლებთანაც მეტ-ნაკლებად იგრძნობა უარყოფითი ემოცია, ამას თანამედროვე ენა კიდევ იტანს, მაგრამ ნეიტრალური შინაარსის სიტყვებთან ის მიუღებელია: **საშინლად მოუნდა, საშინლად უყვარს, საშინლად სერიოზული...** (ქართული სიტყვის კულტურის საკითხები 305). ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულ წინადადებებში ის სტილურად შეუსაბამოა. „ჩემი აზრით, მძიმე იქნება თქვენი მტკივანი მხრით მოსახვევში მოხვევა“ (ნასესხები სიცოცხლე) – გაუგებერია, მთარგმენლმა რატომ შეარჩია ამ შინაარსში სიტყვა მძიმის გამოყენება. მართალია, მას აქვს გადატანითი მნიშვნელობაც: **ძნელი საქმე, დიდად საზრუნავი, ფრიად საპასუხისმგებლო სამუშაო** (მაგალითად, მძიმე ტვირთი), მაგრამ დასახელებულ კონტექსტში ის შეუსაბამოა. აქ, რა თქმა უნდა, შესაბამისი იქნებოდა შემდეგი სიტყვათშეხამება: **ძნელი იქნება მოხვევა.** ან კიდევ: „აღარ შეგიძლია სვლა? ამოიყვანეთ! ...ეტყობა, სიცხემ დაარტყა! წარმოუდგენელი ამბავია! კი მაგრამ, ისეთი სიცხე რომ არ არის ამ ნაადრევ გაზაფხულზე?“ (ნასესხები სიცოცხლე) – ქართულში გვაქვს მყარი გამოთქმა მზის დარტყმა და არა სიცხის დარტყმა. „დადგენილ წესებს მხოლოდ იმიტომ შეეგუა, დრობე ადრე გათავისუფლების შანსი არ გაუშვას ხელიდანო, რეალური საფუძველი გააჩინია?“ (გუგულის ბუდეზე ვიღაც გადაფრინდა) – ქართულში არსებობს ქონა-ყოლის აღმნიშვნელი

## თეა ბურჭულაძე & გვანცა გვანცელაძე

რამდენიმე ზმნა, რომლებიც უქონლობის გამოსახატავად უფრო გამოიყენება, ვიდრე მქონებლობისა: გააჩნია, მოეპოვება, აბადია, მოექვევება. ამ ზმნებით გამოხატული მქონებლობა იმდენად მცირეა, რომ თითქმის უქონლობას უტოლდება. ამიტომ ეს ზმნები დადებითი შინაარსით, უარყოფითი ნაწილაკების გარეშე არ უნდა გამოვიყენოთ: არ გააჩნია, არ მოეპოვება... მოყვანილ წინადადებაში კი მთარგმნელს უნდა გამოეყენებინა აქვს ზმნა. „ვეღარასოდეს მიიღებ ბეჯითი და გაუბედავი კალიგრაფიით ნაწერ, ცრემლდაპკურებულ, სიყვარულის სურნელით გაჟღენთილ და აკანკალებული თითებით კონვერტში ჩადებულ ფურცლებს“ (99 ფრანკი) – მოყვანილ წინადადებაში კალიგრაფიას ახლავს ორი მსაზღვრელი: ბეჯითი და გაუბედავი. ორივე მათგანის გამოყენება შეუსაბამოა კალიგრაფიასთან. სავარაუდოდ, მთარგმნელს უნდოდა ეთევა გულმოდგინედ და გაუბედავად დაწერილი წერილი.

ზოგადად, უმარტივესი წინადადებების ან ცალკეული სიტყვების ზუსტად თარგმნა შეუძლებელია, თუნდაც იმიტომ, რომ აბსოლუტური ეკვივალენტურობა ენებს შორის მიუღწეველია. სწორედ ამიტომაა საჭირო მშობლიური ენის ბუნების ღრმად ცოდნა, ენობრივი ტრადიციების გათვალისწინება, რომ უცხოენოვანი გამოთქმები თუ მყარი შესიტყვებები ქართულისთვის ბუნებრივ თქმებს შეუსაბამო, რათა არ დაიკარგოს ენის გამომსახველებითი საშუალებანი.

კიდევ ერთ პრობლემაზე გავამახვილებთ ყურადღებას. ზემოთ ჩამოთვლილი სტილური შეცდომების გარდა, ხშირია კალკების გამოყენებაც თარგმანში. „ლამით ბევრი რამ მუქ ფერებში ეხატება ადამიანს“ (სამი მეგობარი) – ლამით ბევრი რამ მუქი ფერებით ეხატება ადამიანს; „რა კავშირშია ერთი მეორესთან?“ (სამი მეგობარი) – რა კავშირი აქვს ერთს მეორესთან? ვფიქრობთ, ნათარგმნ ნაწარმოებებში დადასტურებული ჩვენ მიერ მოყვანილი კალკები იმდენადაა გავრცელებული საკანცელარიო ენასა და მასმედიაში, რომ თარგმანშიც შეაღწია, როგორც მართებულმა ფორმებმა.

აქ ერთი მომენტიცაა მნიშვნელოვანი – როგორც მედიას, უურნალისტთა მეტყველებას აქვს გავლენა ხალხზე და სწრაფად ითვისებს მათ მიერ გამოყენებულ ფორმებს, არანაკლები ზეგავლენა აქვს მხატვრული ტექსტების თარგმანის ენასაც, მითუმეტეს მაშინ, როცა საზოგადოება მას კითხულობს და ჰერნია, რომ ეს დახვეწილი და გამართული სალიტერატურო ენაა. ამის ფონზე, პასუხისმგებლობა დიდი უნდა იყოს, რაც, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში არ ჩანს ხოლმე. ცხადია, თარგმანებში ჩვენ მიერ დასახელებული სტილური შეუსაბამობანი ენას გამომსახველობით ბუნებრიობას უკარგავს.

## Problèmes traductologiques: analyse et solutions

### ბიბლიოგრაფია

- ფანჯიკიძე, დალი, თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა, თბილისი, „განათლება“, 1995.
- ქართული სიტუაციის კულტურის საკითხები, თბილისი, „მეცნიერება“, 1985.
- Ахманова, Ольга, *О принципах и методах лингвостилистического исследования*, Москва, Изд-во Моск. ун-та, 1966.
- Гумбольдт, Фон Вильгельм, „О различии строения человеческих языков и его влиянии на духовное развитие человечества“, в сб.: *Избранные труды по языкознанию*, Москва, „Прогресс“, 1984.
- Гумбольдт, Фон Вильгельм, „О сравнительном изучении языков применительно к различным эпохам их развития“, в сб.: *Избранные труды по языкознанию*, Москва, „Прогресс“, 1984.
- Нелюбин, Лев, *Толковый переводоведческий словарь*, Москва, „Наука“, 2003.
- Якобсон, Роман, „О лингвистических аспектах перевода“, в сб.: *Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике*, Москва, „Международные отношения“, 1978, с. 16-24.

### კორპუსი

- ბეგბედერი, ფრედერიკ, 99 ფრანკი, მთარგმნელი თინათინ ღარიბაშვილი, თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა L“, 2011.
- კიზი, კენ, გუგულის ბუდეზე სხვა ვადაფრინდა, მთარგმნელი ზაბა ჭილაძე, თბილისი, გამომცემლობა „დიოგენე“, 2008.
- რემარკი, ერიხ მარია, ნასესხები სიცოცხლე, მთარგმნელი გიორგი ბახტაძე, თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა L“, 2017.
- რემარკი, ერიხ მარია, ტრიუმფალური თაღი, მთარგმნელი აკაკი გელოვანი, თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა“L , 2017.
- რემარკი, ერიხ მარია, სამი მეგობარი, მთარგმნელი ანა კორძაია-სამადაშვილი, თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა“L , 2013.